საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანება

N 275/02-01
27/12/2022

275-02-01-4-202212271454

"სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უწყვეტი განათლების ცენტრის აბიტურიენტთა მოსამზადებელ განყოფილებაში მაგისტრანტობის კანდიდატებისათვის საერთო სამაგისტრო გამოცდაში მომზადებისთვის ფასიანი მომსახურებისა და მასწავლებელთა ანაზღაურების ტარიფების განსაზღვრის თაობაზე" ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2022 წლის 02 თებერვლის N15/02-01 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 23-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილების, 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 55-ე მუხლის, 56-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების, 57-ე მუხლის, 63-ე მუხლის, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე'' საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის, მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „ა" და ,,ნ'' ქვეპუნქტების, თსუ ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2022 წლის 02 თებერვლის N15/02-01 "სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უწყვეტი განათლებისცენტრის აბიტურიენტთა მოსამზადებელ განყოფილებაში მაგისტრანტობის კანდიდატებისათვის საერთო სამაგისტრო გამოცდაში მომზადებისთვის ფასიანი მომსახურებისა და მასწავლებელთა ანაზღაურების ტარიფების განსაზღვრის თაობაზე" ბრძანებისა და უწყვეტი განათლების ცენტრის უფროსის 2022 წლის 26 დეკემბრის N34261/10 წერილის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შევიდეს ცვლილებები "სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უწყვეტი განათლებისცენტრის აბიტურიენტთა მოსამზადებელ განყოფილებაში მაგისტრანტობის კანდიდატებისათვის საერთო სამაგისტრო გამოცდაში მომზადებისთვის ფასიანი მომსახურებისა და მასწავლებელთა ანაზღაურების ტარიფების განსაზღვრის თაობაზე" ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2022 წლის 02 თებერვლის N15/02-01 ბრძანების მე-2 პუნქტის „ა", „ბ" და „გ" ქვეპუნქტებში და ამ ბრძანების მე-2 პუნქტის „ა", „ბ" და „გ" ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი შინაარსით:

„ა) ზოგადი უნარების (ვერბალური კომპონენტი, რაოდენობრივი კომპონენტი) სრული კურსის ხანგრძლივობა - 56 საათი; ზოგადი უნარების (ვერბალური კომპონენტი, რაოდენობრივი კომპონენტი) სრული კურსის ღირებულება განისაზღვოს 450 ლარის ოდენობით;

ბ) ზოგადი უნარების ვერბალური კომპონენტის (ანალიტიკური წერა, წაკითხულის გააზრება და ლოგიკური მსჯელობა) ხანგრძლივობა - 28 საათი, ვერბალური კომპონენტის ღირებულება განისაზღვოს 225 ლარის ოდენობით;

გ) ზოგადი უნარების რაოდენობრივი კომპონენტის (რაოდენობრივი მსჯელობა) ხანგრძლივობა - 28 საათი; რაოდენობრივი კომპონენტის ღირებულება განისაზღვოს 225 ლარის ოდენობით;“

2. შევიდეს ცვლილება “სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უწყვეტი განათლებისცენტრის აბიტურიენტთა მოსამზადებელ განყოფილებაში მაგისტრანტობის კანდიდატებისათვის საერთო სამაგისტრო გამოცდაში მომზადებისთვის ფასიანი მომსახურებისა და მასწავლებელთა ანაზღაურების ტარიფების განსაზღვრის თაობაზე” ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2022 წლის 02 თებერვლის N15/02-01 ბრძანების მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში და ამ ბრძანების მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი შინაარსით:

„ა) ზოგადი უნარების (ვერბალური კომპონენტი, რაოდენობრივი კომპონენტი) კურსების მომზადება დაიწყოს სასწავლო წლის 20 მარტიდან“;

3. დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას წინამდებარე ბრძანების გაცნობა დაინტერესებული პირებისათვის;
4. დაევალოს საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტს ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე;
5. ბრძანება ძალაში შედის გამოცემისთანავე.

ლაშა საღინაძე

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი